F2475/15521

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

იულისი და ოქტომბერი.

რ. ს. დ. მ. პ.

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!

514

ბრძოლა

ორგანო თბილისის ბოლშევიკებისა.

№ 2—4

[19087]

579

დღევანდელი ვითარების კითხვები.

II

პირველ წერილში ჩვენ გამოვსთქვით აზრი რევოლიუციისა და მთავრობის ძალთა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების აუცილებლობაზე ახლო მომავალში. მარა იმაზე, თუ ვისი წინამძღოლობით, ვისი დროშით მოხდება რევოლიუციონური გამოსვლები, ჩვენ იქ არაფერი გვითქვამს.

პროლეტარიატისა და გლეხკაცობის დიქტატურა—ილიუზიაა; ახალ რევოლიუციონურ გამოსვლებს ტონს მისცემს ბურჟუაზიაო—გაიძახიან ერთხმათ ამხ. მენშევიკები. „პროლეტარიატის ახალი ძლიერი რევოლიუციონური გამოსვლა ბევრათ დამოკიდებულია ბურჟუაზიის იმ პოზიციაზე, რომელსაც ის დაიჭერს“ (დანი) „არ შეიძლება მოხდეს რაიმე რევოლიუციონური გამოსვლა, თუ ეს ბურჟუაზიას არ სურს, ამბობს კავშირის მენშევიკების ლიდერი, ამხ. ანი, და მისი აზრით ჩვენი ტაქტიკაც შეფარდებული უნდა იქმნას თანახმათ სწორეთ ასეთი შეხედულობისა. „საერთო მტრის წინააღმდეგ პროლეტარიატი ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიდიოდეს ბურჟუაზიასთან ერთათ; მარა ისე კი, რომ თავისი შეურიგებლობით არ ასუსტებდეს ბურჟუაბიასთან სოლიდარობას და მასთან გადაჭარბებული შეთანხმებით არ ითქვიფებოდეს მასში“.

ამხ. ანთან ერთათ ამავე პოზიციაზე დადგა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების სიეზდიც. „მეორე სახელმწიფო დუმის გარეკის შემდეგ—ამბობენ ამხ. მენშევიკები—პოლიტიკური ბრძოლა გართულდა: პროლეტარიატის წინააღმდეგ ეხლა გამოდის არა მარტო ბიუროკრატია, არამედ ბურჟუაზიაც; ბურჟუაზიამ ნამდვილი კამპანია გამართა პროლეტარიატის ეკონომიურ პირობების გაუმჯობესობათა და მის გეგემონიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული ოპოზიცია ეხლა აღარ ენდობა პროლეტარიატს, როგორც რევოლიუციის ხელმძღვანელს და

სხვა და სხვა ასე რომ ამხ. მენშევიკების სიტყვით წავიდა ის დრო, როცა პროლეტარი სათავეში ედგა განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეხლა წინამძღოლ-ხელმძღვანელის როლი ბურჟუაზიას ეკუთვნის, ეხლა ყოველი რევოლიუციონური გამოსვლა ბურჟუაზიის პოზიციაზეა დამოკიდებულია.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, აქ დიდი არევ-დარევაა, დღევანდელი ვითარების გაურკვეველობაა... გავარკვიოთ რამოდენიმედ მაინც ეს დახლართული კითხვა და მით იქნებ გზა გაუკვლიოთ ზოგ ჩვენ დაბნეულ ამხანაგს.

საზოგადოების ლიბერალური წრეები თანაუგრძნობდენ, ტაშს უკრავდენ პროლეტარიატს მანამ ვიდრე, მის ბრძოლას სტიქიური, „განთვითებული“ და მოუწყობელი ხასიათი ჰქონდა,—მანამ ვიდრე ბურჟუაზიას კიდევ იმედი ჰქონდა პროლეტარიატის ბრძოლას მხოლოთ საკუთარ მიზნისთვის გამოიყენებდა,—ვიდრე პროლეტარიატი მისთვის გამოსადეგი იქნებოდა, როგორც იარაღი აბსოლიუციზმის ციხე-სიმაგრის დასანგრევათ; აი რით აიხსნება ის გარემოება, რომ ბურჟუაზიამ განსაკუთრებული თანაგრძნობა გამოუცხადა ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვას და მერე ზიზღით შეაქცია ზურგი შემდეგ მოძრაობას. „ოქტომბრის რევოლიუცია იყო მშვენიერი რევოლიუცია. დეკემბერში კი თავი წამოყო საშინელმა მხეცმაო“, ჰყვიროდენ და ჰყვირიან დეკემსრის აჯანყებით თავზარდაცემული ლიბერალები. და მართლაც, როდესაც პროლეტარიატმა თავისი საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა, როცა პროლეტარიატის ფართე მასისთვის გასაგები შეიქმნა ხალხის უფლების იდეა, როდესაც გამოაშკარავდა, რომ რევოლიუცია ესწრაფის ბოლომდე მივიდეს; მოახდინოს სრული დემოკრატიზაცია და სავსებით განახორციელოს თავისი ისტორიული მიზანი, როცა რევოლიუცია თავის საკუთარ ინტერესების სამსახურს იწყებს და ლიბერალთა მიზანს შორდება, ერთი სიტყვით, როცა რევოლიუცია თავის თავს იგნებს, მაშინ ბურჟუაზიაც „იმედს ჰკარგავს“ და ზურგს იბრუნებს მისაკენ, უკეთ

რომ ვთქვათ, ხდება მის მოსისხლე მტრათ, გადადის კონტრ-
რევოლიუციის ბანაკში. ის როგორც ჭირს, ისე გაურბის რე-
ვოლიუციას, ეშინია მისი და ყოველ ღონეს ხმაროობს იარაღი
აპყაროს მას: მის საწინააღმდეგოთ ფართეთ ავრცელებს კონ-
სტიტუციურ ილლიუზიებს და რევოლიუციასთან ბრძოლაში
ბიუროკრატიის ერთგულ მოკავშირეთ გამოდის. ამიტომ თქმა
არ უნდა ის იოტის ოდნავ ვერ თანაუგრძნობს რევოლიუცი-
ას და მის ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი ხომ სულ მეტია!
იმაზე სასაცილო არაფერია, როცა ასეთ რასმე ამტკიცებენ;
ეს სწორეთ ბავშვური გულუბრყვილობაა, ბავშვური გაგებაა
ეხლანდელი ვითარების. ამხ. მენშევიკებმა დღემდე თარიღის
აღნიშვნაც ვერ შესძლეს სწორეთ: მათი აზრით ბურჟუაზიამ
მეორე დუმის გარეკის შემდეგ იცვალა გული რევოლიუციაზე
და პროლეტარიატზე, როცა ვითომ პროლეტარიატმა ვერ გა-
მოიჩინა შესაფერი ნიჭი, როგორც რევოლიუციის ხელმძღვა-
ნელმა. ამხანაგი მენშევიკები ვერც კი ამჩნევენ, რომ ბურჟუა-
ზიის პროლეტარიატთან ბრძოლი 3 ივნისზე გაცილებით ად-
რე დაიწყო, სწორეთ მაშინვე, როგორც კი ოქტომბრის სა-
ყოველთაო გაფიცვა გამარჯვებით დასრულდა და როგორც კი
პროლეტარიატმა თავისი საკუთარი ინტერესებისათვის იწყო
ბრძოლა. აი ამ დღიდანვე უგზავნის შეჩვენებას ბურჟუაზია
რევოლიუციას, აქედან იწყებს ბრძოლას მის წინააღმდეგ:
ცდილობს მის გაქრობას; ამ მიზანს ემსახურება ის მთელი თა-
ვისი არსებით, მთელი თავისი ენერგიით; ამავე მიზანს ემსა-
ხურებოდა ლიბერალების მოღვაწეობა სამივე დუმაში, ამავე
მიზანს ემსახურა ცნობილი „ვიბორგის მოწოდება“, რომელ-
საც ისე ქება-დიდებით იხსენებდენ ამხ. მენშევიკები. ამ „მო-
წოდების“ მიზანი თვითონვე აგვიხსნეს ჩინებულათ ბ.ბ. კადე-
ტებმა. აუარებელი „ბრწყინვალე სიტყვები“ დახარჯეს მა-
ამის ასახსნელათ „ვიბორგის პროცესის“ დროს. რა აზრი
ჰქონდა ყველა ამ სიტყვებს?—„დუმის გარეკას, ამბობდენ კა-
დეტები, შეეძლო გამოეწვია სახალხო აჯანყება და ჩვენ გვინ-
დოდა ეს თავიდან აგვეცილებიაო. ყველას ეშინოდა, ყველას
ეგონა მაშინ, რომ დუმის გარეკის გამო სახალხო აჯანყება

დაიწყებოდაო“. პირველი სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის, ბ. მუროომცევის სიტყვით, მაშინ „ყველა იმას გაიძახოდა, რომ რაღაც სასიკეთო არ მოხდებაო; პირდაპირ გეტყვით, განაგრძობს მუროომცევი მსაჯულთა წინაშე, რომ ამბობდენ აჯანყება დაიწყებაო, მარა არა პეტერბურგში, არამედ დაბა სოფლებშიო“. და მერე რა უნდოდათ კადეტებს ექნათ ამ მოსალოდნელ აჯანყების შესახებ? აი დაუგდოთ ყური თვითონ მუროომცევს.

„როცა მთიდან მძლავრი ნიაღვარი მოსკდება და იმ სოფელს, რომელიც მის გზაზე მდებარეობს, წალეკას უქადის, მყისვე ჯებირის კეთებას იწყებენ, რომ ნიაღვარი შეაჩეროონ; მარა ვინც ფიქრობს, რომ მისი შეჩერება შეუძლებელია, ისინი სხვა საშუალებას ეძებენ; მაშინვე არხების თხრას იწყებენ, რომ სხვა გზა მისცენ ნიაღვარს და ამნაირათ ააშოროონ ის სოფელს, რასაც წალეკას უპირებდა. სახელმწიფო დუმის წევრები ფიქრობდენო, ამბობს ბ. მუროომცევი, რომ მთავრობა სწორეთ ასეთი თვალით შეხედავდა „ვიბორგის მოწოდებას“. რა თქვა ამავე საგანზე ამხ. რამიშვილმა, რომელიც კადეტებთან ერთათ იყო ამ საქმისთვის პასუხის გებაში მიცემული? მოისმინა რა კადეტების სიტყვები ამხანაგმა წარმოსთქვა: „მე ვფიქრობ, შესაძლოა, ჩვენმა ვიბორგის მოწოდებამ უფრო ხელი შეუწყო ხალხის დამშვიდებას, რაც, უნდა გამოვტყდე, ჩემი მიზანი არ ყოფილა, როცა ცნობილ მოწოდებას ხელს ვაწერდი. შესაძლოა, რომ ამ გარემოებამ უფრო მთავრობას მოუტანა სარგებლობა: შესაძლოა, მართლაც ააშორა მას ხალხის გულისწყრომა, სახალხო მოძრაობა“.

მუროომცევის სიტყვის შემდეგ ამხ. რამიშვილი ისევ თხოვილობს სიტყვას და ამბობს: „ბატონო თავმჯდომარეო! გთხოვთ ნება მომცეთ კიდევ ორიოდე სიტყვა დაუმატო იმას, რაც წინათ ვთქვი. მე მინდა აღვნიშნო, რომ, როცა ვიბორგის მანიფესტს ხელს ვაწერდი, პირადათ მე, რასაკვირველია, სულაც არ მქონებია სახეში, ამ მოწოდებით სახალხო მოძრაობისთვის განზე მიმეცა გზა და მით მთავრობისთვის ის ამეშორებინებია. ეხლა კი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს,

ძვირფასო ამხანაგო!

მაპატიეთ, რომ პასუხი ადრე ვერ მოგწერეთ. დამაგვიან
და იმიტომ კი არა, რომ თქვენი წერილი ინტერეს მოკლე
ბული იყოს, არა, თქვენი წერილი მეტათ საჭიროთ და ს
გულისხმოთ მიმაჩნია, მარა რადგანაც მე ეხლა ვმოგზაურობ
მან ჩემამდის მხოლოთ გუშინ მოაღწია.

სამწუხაროთ ამ ხანათ, რადგან ვმოგზაურობ და ხელ
არა მაქვს საჭირო წყაროები, არ შემიძლია ყოველმხრივი
დამაკმაყოფილებელი პასუხი მოგცეთ თქვენს შეკითხვაზ
იძულებული ვარ ეხლა დავკმაყოფილდე მხოლოთ რამდენიმ
სტრიქონით

თქვენ მიერ წამოყენებული კითხვა ფრიად ძნელი გადა
საჭრელია, მით უფრო, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ეს კ
თხვა შეეხება, ძალიან ნაკლებათაა შესწავლილი, სადა
უეცრათ გამოჩნდენ ახალი ჯგუფები და ძალები, რომლებსა
წინათ თვით იმავე ქვეყანაში არ იცნობდენ და სადაც საზ
გადოებრივი ვითარება დღითი დღე საოცრათ იცვლება.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში დამშვიდებული სინდისი
შეიძლება ითქვას, რომ სპარსეთის სოციალისტები ვალდ
ბულნი არიან მონაწილეობა მიიღონ თავიანთ ქვეყნის დემ
კრატიულ მოძრაობაში.

შეუძლებელია მებრძოლმა სოციალისტმა რევოლიუცი
დროს გულზე ხელები დაიკრიფოს და განკერძოვებული ბ
სიური მეთვალყურის როლი იკისროს. თუ ქვეყანა იმდენ
განვითარებული არაა, რომ თანამედროვე პროლეტარიატ
წარმოშობს, მაშინ სოციალისტებს მხოლოთ დემოკრატი
ლი მოძრაობა აძლევს საშუალებას, რომ მათ მონაწილეო
მიიღონ რევოლიუციონურ ბრძოლაში.

მარა აქ სოციალისტები არ იბრძვიან როგორც უბრალ
დემოკრატები, რომლებიც გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიუ
და წვრილ ბურჟუაზიული ილიუზიებით, არა, ისინი დემ
რატიის ბრძოლაში ხედავენ კლასთა ბრძოლას და კარგ
იციან, რომ დემოკრატიის ამ ბრძოლაში გამარჯვებით ბ
ლიტიკური ბრძოლა კიდევ არ თავდება, ნამდვილათ კი
გამარჯვება დასაწყისია სხვა ახალი, უცხო ბრძოლისა, რ
ლის წარმოება აბსოლიუტურ წყობილებაში თითქმის შე
ლებელია.

მართალია დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელშ
ჩაბმულია ქვეყნის ყველა მშრომელი ჯგუფები, ყოველთ

ჩნდებ, რეაქციონური ტენდენციი (მიდრეკილება), რომლის მატარებლათ გამოდის წვრილი ბურჟუაზიის და გლეხ კაცობის ზოგი ნაწილი, მაგრამ ეს სულაც არ აძლევს საბუთს სოციალისტს, რომ ის არ ჩაერიოს ბრძოლაში; ეს მხოლოთ მიზეზია იმისი, რომ მან უთუოთ უნდა მიიღოს მონაწილეობა დემოკრატიულ მოძრაობაში და ებრძოლოს სწორეთ მის რეაქციონურ ტენდენციებს. ასეთ ტაქტიკას აწარმოებდა 1848 წელში კარლ მარქსი. როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ისეთი პირობები მომწიფებული, რომ შესაძლო გამხდარიყო ძლიერი პროლეტანური პარტიის შექმნა.

უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგ მოძრაობას უთუოთ რეაქციონური ხასიათი როდი აქვს. ცხადია რკინის გზები და მსხვილი მრეწველობა სპარსეთისთვისაც ისევეა საჭირო, როგორც სხვა ქვეყნებისთვის; მაგრამ სპარსეთი უკვე შემდგარია კაპიტალიზმის გზაზე და შესაძლოა, უფრო მეტი სიჩქარით წავიდეს ამ გზაზე, რომ მას არ ყვლეფდეს უცხოეთის კაპიტალი. ეს კაპიტალი სპარსეთში არა მარტო სამრეწველო კაპიტალის სახით მოქმედებს, არამედ ის იქ გაცილებით უფრო მეტათ მძვინვარებს, როგორც სავახშო კაპიტალი, ამ სახით ის ყვლეფს მთელ ერს და აგრეთვე გლეხკაცობას, რომელიც გადასახადების სახით ყოველ წლივ იხდის სახელმწიფო ფულების სარგებელს (პროცენტებს) ამ ნაირათ გლეხკაცობა სულ უფრო და უფრო ღატაკდება და თან და თან ერთმევა მას საშუალება, რომ შეიძინოს მრეწველობის ნაწარმოები ნივთები. აი რატომაა, რომ უცხოეთის კაპიტალი სპარსეთში სწორეთ ისე, როგორც რუსეთში, აჩერებს და ჰბოჭავს შინაურ ბაზრის განვითარება გაფართოვებას და ეს კი აუცილებელი პირობაა მსხვილი მრეწველობის განვითარებისათვის.

როცა გარეშე კაპიტალისაგან სპარსეთის ექსპლოატაცია მოისპობა, მაშინ შინაური ბაზარიც ზრდას იწყებს იქ ისე, როგორც შინაური კაპიტალი, რადგანაც ზედმეტი ღირებულება ადგილობრივ დარჩება.

და პროლეტარულმა მოძრაობამ, რომ რომელიმე ქვეყანაში უმაღლეს განვითარებას მიაღწიოს, ამისთვის აუცილებლათ საჭიროა დემოკრატიისათვის არა მარტო პოლიტიკური თავისუფლება, არამედ მთელი ამ ნაციის სხვა ქვეყნის გავლენისაგან დამოუკიდებლობა და ეს არა მარტო პოლიტიკურათ, არამედ ეკონომიურათაც.

ამასთან ამ სახით, თავიდან იშორებს რა აღმოსავლეთის ხალხი თავის სამშობლოში უცხოეთის კაპიტალიზმის უღელს და ამზადებს რა ნიადაგს თავის ქვეყანაში სოციალიზმის დასამყარებლათ, ის ჩვენთვისაც მუშაობს: აჩქარებს ევროპაში პროლეტარულ რევოლიუციის დაწყებას, ვინაიდან მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ასუსტებს ევროპის კაპიტალიზმს და ღონეს მატებს პროლეტარიატს.

მაგალ. რუსეთის რევოლიუციას რომ გაემარჯვებია და რუსეთის ხალხს უარი ეთქვა სახელმწიფო ვალების გადახდაზე, ეს გარემოება თავის მხრივ ერთგვარ რევოლიუციას გამოიწვევდა საფრანგეთში. ან კიდევ ინდოეთმა და ეგვიპტემ რომ დამოუკიდებლობა მოიპოვოს და ინგლისის ბატონობისაგან განთავისუფლდეს, ამით ძირფესვიანათ შეირყევა ინგლისის კაპიტალიზმი და თვალსაჩინოთ გაღრმავდება ინგლისის პროლეტარიატსა და კაპიტალისტებ შორის წინააღმდეგობა. ამ ნაირათ სპარსეთიც და ინდოეთიც, იბრძვის რა საკუთარი თავის უფლებისათვის, — იბრძვის მთელი ქვეყნიერობის პროლეტარიატის განთავისუფლებისათვისაც

იმედი მაქვს, ძვირფასო ამხანაგო, ეს რამდენიმე, საჩქაროთ დაწერილი სტრიქონი ამხანათ თქვენ დაგაკმაყოფილებთ. ბერლინში რომ დავბრუნდები, ვეცდები საფუძვლიანათ შევისწავლო სპარსეთის საქმეთა მდგომარეობა თუ დრომ და გარემოებამ ხელი არ შეგვიშალა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ძალიან საჭირო იქნებოდა მიგველო უტყუარი ცნობები სპარსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაზე, მის პრინციპებზე, ტენდენციაზე და იმ კლასებზე, რომლებიც მის მთავარ ძალებს წარმოადგენენ.

მე დიდი სიამოვნებით მოვათავსებდი თქვენს სტატიას ამ თემაზე ჟურნალ „ნოუ �აიტში", რომელსაც ყველა ქვეყნებში კითხულობენ. თქვენი მარქსისტული თვალსაზრისი სტატიას ფრიად შინაარსიანათ გახდის და ჩვენ უფრო დაგვანახვებს საგანს ნათლათ, ვიდრე ისეთი მკვლევარი, რომელიც ჩვეულებრივ დემოკრატიულ თვალსაზრისზე დგას.

დარწმუნებული ვარ, თქვენ ამ ბარათს მიიღებთ მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქი, რომელშიაც თქვენ იმყოფებით, რევოლიუციონურ მდგომარეობაშია. გიძღვნით ამხანაგურ სალამს და გისურვებთ გამარჯვებას თქვენ და ყველა ამხანაგებს.

ამხანაგური სალამით კარლ კაუცკი.

ლ. ნ. ტოლსტოის ოთხმოცი წლის შესრულების გამო.

Так храм оставленный—все храм,
Кумир поверженный—все бы.
Лермонтовъ.

აგვისტოს გასულს მთელი რუსეთი სცდილობდა, აღენიშნა თავისი შეხედულება რუსეთის დიდებულ მწერალ ლ. ნ. ტოლსტოიზე. ბურჟუაზიამ ის უდიდეს მხატვრულ-ბელეტრისტულ მწერლათ და უდიდეს მოაზრეთ გამოაცხადა. ''ძავმა რაზმმა ტოლსტოის პატივსაცემ დღესასწაულს თავიქმის ისე შეხედა, როგორც რევოლიუციურ გამოსვლას და დიდებული მოხუცი წყევლა-კრულვით მოიხსენია. როგორღა უნდა შევხედოთ ტოლსტოის ჩვენ, პროლეტარებმა? მივაკუთვნოთ უნდა ის ჩვენებს? მის საიუბილეო დღეს უნდა შევხედოთ, როგორც დღესასწაულს აზრისას? ან და უყურადღებოთ ავუაროთ მას გვერდი და ჩავთვალოთ ის უბრალო, ჩვეულებრივ დღეთ.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დიადი ნაწარმოებნი სრულებითაც არ არიან უცხონი და ზედმეტნი პროლეტარეებისათვის. წინააღმდეგ, რაც დრო მიდის, ხელოვნების ნაწარმოებნი უფრო და უფრო ხდება პროლეტარიატის სამკვიდროთ. ფილოსოფიური სული არისტოკრატ-ელლინელთა მკვიდრდება აქამდე გათვალწინებულსა და დამცირებულ პროლეტარიატში. ასე, ან დაახლოვებით ასე ამბობს კაუცკი. მხოლოდ იდეიურ სიმშვენიერეს მოყირჭებულმა ბურჟუაზიამ იბრუნა პირი გენიოს ავტორთაგან და მოიყარა თავისი ბებრული მუხლები დეკადანსისა და პარნოგრაფიის წინაშე. პროლეტარიატი კი როგორც ჯანსაღი მემკვიდრე კაპიტალისტური წყობილებისა, აფასებს ყველაფერს, რაც კი სასიკეთო რამ მოგვცა ამ წყობილებამ. ლ. ტოლსტოისაც, რო-

გორც რომანისტს, ყოველთვის წაიკითხავენ და პატივს სცემენ მკითხველი პროლეტარები. „ომი და ზავი“, „სევასტოპოლის ამბები“, „სიბნელის ძალა“, „ნაყოფი განათლებისა“ და სხვა ყოველთვის უმაღლეს წერტილამდე დამატკბობელნი იქნებიან მუშათა კლასისთვინაც. ჩვენ გვეტყვიან, „უწმინდესი“ სინოდიც არ უარყოფს ტოლსტოის ასეთ ღირსებასა. ნუთუ, გვეტყვიან ჩვენ, თქვენი შეხედულება ტოლსტოიზე ისეთივეა როგორიც იმ ხუცებისა, რომლების კრებულიც სინოდს უწოდებს თავის თავს? თქვენც ხომ უარყოფთ და აძაგებთ ტოლსტოის ფილოსოფიასა.

როცა ტოლსტოი რკინის ურისავით მძიმე სიტყვით ანგრევს საშვალო საუკუნოების ნაანდერძევ ყალბ შეხედულობებსა და ცრუმორწმუნოებათ და ააშკარავებს ხუცების „შარლატნობას“, მატყუარობას, როცა ტოლსტოი თამამი სიტყვით ყვედრის და ჰკიცხავს პირდაპირ მეფეებს და უძახის მათ თავისს „არა კაც ჰკლა“, როცა ტოლსტოი უჩვენებს ზედმეტობას და ზარალს მხედრობისა და მილიტარიზმისას; როცა ის სწერს ომიანობის წინააღმდეგ და იწვევს წავიდნენ ომში „ხუცებს, ვაჭრებს და მიტროპოლიტებს, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ ის ათასჯერ მართალია, როცა ტოლსტოი საშინელებათ სთვლის თანამედროვე სამეურნეო წყობილებას კლასიურ წინააღმდეგობათ და აღშფოთებული იკითხავს: ნუთუ ეს ასე უნდა იყოსო? პროლეტარები აღტაცებით კითხულობენ ასეთ სტრიქონებს და ძლიერ ბევრნი ნაკლებათ შეგნებულთაგანნი მის შემდეგ იმეორებენ „ნუთუ აგრე უნდა იყოსო?“

როცა ხედავს რა სახრჩობელაებს, რომელნიც ისე უსვად იდგმება მთავრობის მიერ მთელ რუსეთში ტოლსტოი შეზარული წერს „მეტი დუმილი არ ძალმიძსო“, მაშინ ჩვენ პროლეტარები გავიძახით: „არც ჩვენ შეგვიძლიან მეტი დუმილი და ვაი მათ, ვინც დამშვიდებული უცქერის რუსეთის ახალ სამკაულს“. ერთი სიტვვით ჩვენ ვსთვლიდით და ვსთვლი ტოლსტოის ჩვენად, როცა ის კრიტიკას უწევს თანამედროვე ცხოვრების საფუძვლებს. და ვინ იცის რამდენ სოციალ

დემოკრატს ჩაუთვალა მთავრობამ დანაშაულობად ტოლ-
სტოის ნაწარმოებთა კითხვა?

მაგრამ, რაც შეეხება ტოლსტოის მოძღვრების დადებით
მხარეს, ჩვენ არ შეგვიძლია ამაში დავეთანხმოთ მას, და ზოგ-
ჯერ გულგრილადაც არ შეგვიძლია ამ დიდებული მწერლის
დაწერილ სტრიქონების წაკითხვა. გულის ტკივილით ვხე-
დავთ ზოგჯერ, როგორ გადადის თავისდა შეუმჩნეველად ეს
გენიოსი მწერალი და გაბედული უარმყოფელი რეაქციის
ბანაკში. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ტოლსტოის, როცა ის
უარს ყოფს მუშათა კითხვას და მუშათა მოძრაობას, ვინაი-
დან ჩვენ უკვე შეგნებული გვაქვს, რომ „ერთად ერთ ბო-
ლომდე რევოლიუციონურ კლასად შეუძლიან დარჩეს მხო-
ლოდ პროლეტარიატს“ და რომ „მთელი ისტორია აქ ნ ბამდე
იყო და არის კლასთა ბრძოლის ისტორია“: ჩვენ ვერ დ ეთან-
მებით ტოლსტოის, როცა ის სწერს, რომ გზა ად ანის
ბედნიერებისაკენ არის პირადი „მე“ ს უსაზღვრო თვი გაუმ-
ჯობესება, რომ ,,სასუფეველი ღვთისა ჩვენშიგან არისო‘‘.
ჩვენ ვიცით, რომ მდგომარეობა (ყოფა-ცხოვრება) ბადებს და
საზღვრავს შეგნებას ადამიანისას და რომ ესავე მდგომარეო-
ბა, ე ი. არსებული პირობები უბიძგებენ თვითეულ ადამი-
ანს იმ კლასის იდეოლოგიისაკენ, რომლის ეკონომიური
მდგომარეობასთანაც არის ის შეკავშირებული. სწორედ ამი-
ტომ არის, რომ პროლეტარის ბედნიერება მისსავე კლასიურ
ბრძოლაშია. ჩვენ ვერ მივიღებთ ტოლსტოის ვერც მოლალს,
რომელიც ამბობს, ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას ძალითო.
ვერ მივიღებთ ამას—ვინაიდან მორალი პროლეტარისა არის
კლასიური ბრძოლა. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად, აღუ-
შფოთებლად წაკითხვა ტოლსტოის იმ სტრიქონებისა, სადაც
ის გმობს რუსეთის დიდ რევოლიუციას, ვინაიდან ამ რევო-
ლიუციამ შესამჩნევად უნდა გააუმჯობესოს პროლეტარიატის
და საზოგადოთ ყველა ღარიბ-ღატაკთა მდგომარეობა რუ-
სეთში. და მარტო რუსეთში?! ჩვენ ვერ დავეთანხმებით
ტოლსტოის მისს უკიდურეს ინდივიდუალიზმში და მისს
უარყოფაში სახელმწიფოთა საზოგადოთ, ვინაიდან ჩვენ

კოლექტივისტები ვართ და სახელმწიფოში უწინარეს ყოვ-
ლისა ვხედავთ ეკონომიურ ორგანიზაციას, რომლის პო-
ლიტიკური ძალაც ეკონომიურად გაბატონებულ კლასს
უპყრია. დაბოლოს ჩვენ ვერ დავეთანხმებით ტოლსტოის
რომელიც თანამედროვე სოციალური უკუღმართობის გადა-
წყვეტას ხედავს აგრარული საკითხის გადაწყვეტაში ტოლ-
სტოი, როგორც ძველი ნაროდნიკი ვერ ამჩნევს, ვერ ხე-
დავს კაპიტალიზმს. ესეც რო არ იყოს, თვით აგრარული
საკითხის გადაწყვეტაშიც ვერ დავეთანხმებით ტოლსტოის,
ვინაიდან აგრარული საკითხი თუნდ სანახევროდაც არ შეი-
ძლება გადაწყვეტილ იქნას ურევოლიუციოთ. რევოლიუციას
კი ტოლსტოი უარყოფს.

რა არის მიზეზი ტოლსტოის ასეთ წინააღმდეგობათა.
ლ. ტოლსტოი თავისი შეხედულობებით წვრილი გლეხობის
იდეოლოგია, თავისი ფსიხიკით ტოლსტოი უახლოვდება
წვრილ ბურჟუაზიულ სოციალიზმის წარმომადგენლებს,
იმ სოციალიზმის, რომელიც აგრეთვე განსხვავდება სხვები-
საგან თავისი ორმაგობით. მართალია, ორმაგიანობა ტოლ-
სტოისა უფრო მკვეთრად გვეხატება ვინემ ორმაგიანობა
წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტებსა, მაგრამ თავი და
თავი ისაა, რომ თვით ორმაგიანობა, საზოგადოთ თვისებაა
წვრილი ბურჟუაზიისა, რომელიც ერთი გვერდით ბურჟუა-
ზიას ეკვრის და მეორეთი კი პროლეტარიატს. ტოლსტოიმ
როგორც საზოგადოთ წვრილ ბურჟუაზიულმა სოციალისტმა,
გამოამჟღავნა „საოცრად ღრმა ანალიზის შემწეობით ყველა
წინააღმდეგობანი, რომლებიც კი ბატონობენ თანამედროვე
წარმოების ურთიერთობაში. მან ჩამოაგლიჯა ნიღაბი ფარი-
სევლურ მოღვაწეობას ეკონომისტებისას, რომლებიც სცდი-
ლობდენ მისს გათეთრებას. ყოვლად უცილობლად დაამ-
ტკიცა მათ შრომის დანაწილებასა და მანქანების გამრყვნელი
გავლენა მუშებზე. მანვე მიაქცია ყურადღება კაპიტალისა
და მიწის საკუთრების კონცენტრაციაზე, გადაჭარბებულ
წარმოებაზე, კრიზისებზე, წვრილი მესაკუთრისა და გლეხის
დაცემა-დაღუპვის აუცილებლობაზე, პროლეტარის გაჭირვე-

ბაზე და სხვა. მაგრამ დადებითი მიზნები ამ სოციალიზმისა მდგომარეობს იმის ცდაში, რომ აღადგინოს წარმოებისა და გაცვლის ძველი წესები აღადგინოს, მაშასადამე, აგრეთვე ძველი ქონებრივი ურთიერთობანი და ძველებური წყობილება; ან და ისინი გამოიხატებიან იმის ცდაში, რომ თანამედროვე წესები წარმოებისა და გაცვლისა მოათავსონ იმ ძველ ქონებრივ ურთიერთობის ბუდეში, რომელიც დიდი ხნის წინეთ დაუნგრევიათ მათვე. როგორც პირველს ისევე მეორე შემთხვევაშიც ეს სოციალიზმი წარმოადგენს ერთსა და იმავე დროს რეაქციონურსაცა და უტოპიურსაც (მარქსი და ენგელსი, მანიფესტი კომ. პარტიისა).

ჩვენ არ გვეშინიან ტოლსტოის რეაქციონერობისა და უტოპისტობისა. ვინაიდან ცხოვრების მსვლელობა გაართულებს მისი შემოქმედების ამ მხარეებს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ დავაფასოთ.

ტოლსტოის ლიტერატურულ ნაწარმოებს. რადგანაც თავისი კრიტიკით ას ანგრევს ბევრს ისეთ რამეებს, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს პროლეტარიატის ძლევა-მოსილ სულის დროს.

დეე, ტოლსტოი იყოს წვრილ ბურჟუაზიული; ნუ დავივიწყებთ, რომ მან „გამოააშკარავა ღრმა და მახვილი ანალიზის შემწეობით ყველა წინააღმდეგობანი, რომლებიც კი გაბატონებულან თანამედროვე წარმოების ურთიერთობაში“, ტოლსტოიმ იმუშავა ჩვენს პროლეტარულ ყანაშიც, და ამიტომ ის არ არის უცხო პროლეტარის გულისთვის. ტყუილად კი არ ამბობს პოეტი: Храмъ оставленный— все храмъ!

პროფესიონალურ კავშირებთან დამოკიდებულება.

ამ კითხვის შესახებ კამათის დროს გამოირკვა რომ თვით მენშევიკებ შორის ორი მიმდინარეობა ყოფილა: ერთი— თფილისური, მ—ას მეთაურობით, და მეორე—ცეკისტის მეთაურობით. ეს მით უფრო საინტერესოა, და თანაც გასაკვირალი რომ ამ უთანხმოების შესახებ ადგილობრივ ს. დ. პრესაში და დისკუსიების დროს არავის კრინტიც არ დაუძრავს არც სიეზდამდი არც მერე. მაშინ, როდესაც ამავე პრესის საშვალებით „თფილისელი ოპორტიუნისტები“ ცხარე და ხანგრძლივ აგიტაციას ეწეოდენ თავის „სპეციფიკურ (განსაკუთრებულ) ოპორტიუნიზმის“ გასავრცელებლათ პარტიულ მასსაში. ამ ცალმხრივმა (ბალშევიკებს არ ქონდათ თავისი ორგანო) აგიტაციამ, საუბედუროთ, საგრძნობელი ზიანი მისცა მუშათა მოძრაობას ჩვენში, რაც, სხვათა შორის გამოიხატა იმაში, რომ პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციები თან-და-თან დაშორდენ ერთმანეთს და საერთო გამოსვლების აუცილებელ საჭიროების დროს ერთი ალთას სწევდა და მეორე ბალთას. საკმაოა გაიხსენოთ მეორე დუმის არჩევნები, ს. დ. ფრაქციის გასამართლება' პირველმაისობა და სხ. და თქვენ დაინახავთ, რომ ყველა ასეთ გამოსვლების დროს თვითეული ორგანიზაცია მიდიოდა თავისს საკუთარი, „დამოუკიდებელი“ გზით, და სრულიათ არ დაგიდევდა, თუ რას ფიქრობდა, რას აპირებდა მეორე ორგანიზაცია. იმ დროს, როცა ერთი აღიარებდა მაგალითად, პირველ-მაისობის საჭიროებას, მეორე ამას უარყოფდა პირიქით. ამნაირათ სერიოზული კლასიური ბრძოლის გატარება შეუძლებელი ხდებოდა. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ორივე ორგანიზაცია ერთ გზას ადგებოდენ, მაგრამ, საუბედუროთ, ეს სოლიდარობა იყო სოლიდარობა ოპორტიუნიზმის და არა რევოლიუციონური ტაქტიკის. საზოგადოთ ემჩნეოდა და დღესაც ემჩნევა ჩვენში, ამ მენშევიზმის სამეფოში, ბაქოს გარდა, რომ პროფესიონალური ორგანიზაცია უფრო რევოლიუციონურ გზას ადგებოდა, ვიდრე პოლიტი-

კური; ამ უკანასკნელში მასსა მეტ რევოლიუციონერობას იჩენდა, ვიდრე ხელმძღვანელები, მეტადრე ინტელიგენტები.

ამ კითვის შესახებ მომხსენებლათ წამოაყენეს თფილისის დელეგატი. მ—ა, რომელმაც ამაოთ შეეცადა გაემართლებია ის ყალბი პოლიტიკა, რომელსაც იგი და მისი ჯურის მენშევიკები ატარებდენ თფილისის პროფესიონალურ კავშირებში. თავის უშინაარსო და ყოვლათ დაუსაბუთებელ სიტყვაში მან წამოაყენა შემდეგი მოსაზრება: კავშირები უნდა იყოს უპარტიო, როგორც მათი გაფართოვების და მთლობიანობის თავდები. პარტიული ფირმა აფრთხობს შეუგნებელ მასსას და კავშირს აშორებს. სოც.-დემოკრატები კავშირში უნდა ატარებდენ „წმინდა“ ს. დ. პოლიტიკას, მარა ისე კი, რომ მუშებს არ გააგებინონ თავიანთი პარტიული ვინაობა. სიფრთხილე, თანდათანობა და პირბადე—აი ჭეშმარიტი პოლიტიკა. მთელი ჩვენი იმედი უნდა დავამყაროთ ლეგალურ ფართო კავშირებზე. მხოლოთ იმათკენ უნდა მივილტოდეთ. ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირი პარტიისა და კავშირებს შორის შეუწყნარებელიაო.—მომხსენებელმა ვერც ერთი ისტორიული მაგალითი ვერ მოიყვანა თავის უპარტიობის და ნეიტრალობის გასამართლებლათ. ან კი როგორ შეეძლო ეს, როცა მთელი ისტორია პროფესიონალური მოძრაობისა მთელ ევროპაში და რუსეთშიაც ამის წინააღმდეგს ღაღადებს; სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, შტუტგარდის საერთაშორისო სოციალისტურ სიეზდს ხომ გვერდს ვერ აუხვევს ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული სოციალ-დემოკრატი, მით უფრო შეუძლებელი უნდა იყოს ასეთი გვერდის ახვევა იმ სოციალდემოკრატისათვის, რომელსაც პროფესიონალურ მოძრაობის ბელადათ მოაქვს თავი. ამ სიეზდმა ხომ საპარადისოთ დაასაბარა ეს მენშევიკების ხელისხელ საგოგმანები უპარტიობა და ნეიტრალობა.

მემარჯვენე მენშევიკ მომხსენებელზე, ბალშევიკს გარდა, სასტიკი იერიში მიიტანა მისმა ფრაქციულმა თანა მოაზრემ—ცეკისტმა, რომელმაც ამ კითხვაში მოსაწონი მემარცხნეობა გამოიჩინა, თფილისელ მენშევიკებთან შედარებით,

რასაკვირველია, წინააღმდეგ მისი უკიდურესი მემარჯვნეობისა. პირველ კითხვაში (პარტიული მუშაობის შესახებ.) ცეკისტ-მენშევიკის სიტყვა იყო მოკლე, მარა სამაგიეროთ, შინაარსიანი, მეტადრე თავის კრიტიკულ ნაწილში, იქ, სადაც იგი სასტიკათ გმობდა თფილისელ მენშევიკების პოლიტიკას. ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია მისი სიტყვაც მოვიყვანო დაახლოვებით მაინც, საყურადღებოთ და საგულისხმოთ იმ მენშევიკ-პროფესიონალისტებისა, რომლებიც გაჟღენთილი არიან „თფილისური ოპორტიუნიზმით“. მან თქვა: თფილისელ მენშევიკებს თავი მოსწონთ თავის უპარტიობითო. უპარტიობის მომხრე მეც გახლავართ, მარა ეს მე დროებით აუცილებელ საშუალებათ მიმაჩნია. თქვენი პოლიტიკა (მიმართავს მ—ს და მის კომპ.) მომაგონებს იტალიანურ ორმაგ(?) (двойная) ბუღალტერიას: პარტიაში სოც.-დემოკრატობით და კავშირში-კი თავს ანებებთ სოციალდემოკრატობას, როგორ სრულიათ ზედმეტს და უსარგებლო ბარგს. თქვენი ოპორტიუნიზმი რაღაც განსაკუთრებული, წმინდა თფილისური ოპორტიუნიზმია და მეტი არაფერი. თქვენი უპარტიობა უბრალო ნეიტრალობას წარმოადგენს: თქვენ პოლიტიკას ის ნაყოფი მოაქვს, რომ თქვენი დამჯერე მუშები ერთნაირი უნდობლობით უნდა უყურებდენ ყველა პოლიტიკურ პარტიას, სულ ერთია, პროლეტარულია ის თუ ბურჟუაზიული. მე ვფიქრობ პირიქით: სოციალდემოკრატები კავშირებშიაც სოციალდემოკრატებათ უნდა დარჩენ და ყოველთვის შეერთებულათ უნდა მოქმედებდენო. ასეთი მსჯავრი თფილისელ ოპორტიუნისტების შესახებ სრულიათ სამართლიანი იყო, მარა ბელაც ის არის, რომ ამის მთქმელიც ისეთ ყალბ-ყალბ ნიადაგზე დადგა, როგორც მის მიერ განსჯილი ოპორტიუნისტები, ე. ი. ის დადგა არსებითად იმავე უპარტიობის ნიადაგზე, რაც პრაქტიკულათ, ცხოვრებაში სრულ ნეიტრალობამდე ჩამოქვეითდა და უსათუოდ ჩამოქვეითდება ყოველთვის, ვინც უნდა იყოს ამ უპარტიო ჭაობის მატარებელი.

ამ ორ მენშევიკს პასუხი გასცეს ბალშევიკმა და ცეკისტ ლატიშმა (ე. წ. „ბოლოტოს“ წარმომადგენელმა), რომლებ-

მაც შემდეგი აზრი გაატარეს: უპარტიობა პრინციპიალურად უარ-საყოფია. პარტიული პროფესიონალური კავშირები ჩვენი იდეალია. ამ იდეალის განხორციელება შეიძლება თანდათან, პარტიასა და კავშირებს შორის მჭიდრო იდეიურ და ორგანიზაციულ დამოკიდებულების განმტკიცების საფუძველზე. ჩვენ გვაინტერესებს პარტიული შინაარსი და არა ფორმა. ჩვენ უნდა ვიდგეთ ლონდონის და შტუტგარდის სიეზდების თვალთახედვის წერტილზე, რომლებმაც ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების მიხედვით სამუდამოთ უარ-ყვეს უპარტიობა-ნეიტრალობა და აშკარათ აღიარეს ასეთი მჭიდრო კავშირის განმტკიცების აუცილებლობა. ეს არის ერთად-ერთი სწორი პრინციპი არა მარტო ევროპისათვის, არამედ რუსეთისათვისაც. თქვენ გუნდრუკს უკმევთ ლეგალურ კავშირებს და ამავე დროს გავიწყდებათ, რომ თვითმპყრობელობა გამოუთქმელი სიმხეცით და ბარბაროსობით მუსრს ავლებს და ანადგურებს ყოველ-გვარ კლასიურ ნიადაგზე მებრძოლ კავშირებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ არალეგალური კავშირების მოსაწყობათ ყოველგან, სადაც ლეგალურ კავშირებს არა აქვთ ნიადაგი. კავშირების მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლათ და მთავრობის რეპრესიებთან საბრძოლველათ საჭიროა ფაბრიკა-ზავოდებში პარტიულ იაჩეიკებთან ერთად მოეწყოს პროფესიონალური იაჩეიკებიც. ორგანიზაციული კავშირი პარტიასა და კავშირებს შორის არა თუ არ დაასუსტებს და დაარღვევს კავშირებს (ამის წინააღმდეგი ერთი მაგალითი მაინც მოგეყვანათ!), პირიქით, უფრო გაანაყოფიერებს და გააძლიერებს პროლეტარიატის ნამდვილ კლასიურ ბრძოლასო. ამით გათავდა ჯამათი ამ კითხვის შესახებ, თუ სახეში არ მივიღებთ თითო-ოროლი მენშევიკის თითო-ოროლა უსაბუთო აზრს.

როცა ჯერი მიდგა რეზოლიუციებზე, სიეზდზე მოხდა ერთი საგულისხმო კურიოზი: ცეკისტ-მენშევიკმა შემოიტანა თავის საკუთარი რეზოლიუცია, რომლის შესახებაც ბალშევიკმა განაცხადა, რომ იგი საერთოდ ეთანხმება ცეკისტის რეზოლიუციას, მხოლოთ ნებას მისცემს თავის თავს, ზოგი-

ერთი შესწორებები შეიტანოს შიგ. კურიოზი იწყება მაშინ, როცა მომხსენებელმა განაცხადა, რომ მე საკუთარ რეზოლიუციას შემოვიტანო და შეუდგა წერას. ამ დროს მას ბალშევიკმა ირონიულათ შეკითხა, რატომ ახალ რეზოლიუციას ადგენ და თფილისის კომიტეტის რეზოლიუცია არ შემოგაქვსო. მარა ეხლა მ.საც ცხადი იყო, რომ ამ წმინდა „თფილისური ოპორტიუნიზმით“ გაჟღენთილ რეზოლიუციას, —რომელსაც დიდი გულმოდგინებით იცავდენ „თფილისელი ოპორტიუნისტები“ სასიეზდო დისკუსიების დროს (პრესა კიდევ სხვაა),—ცეკისტის რეზოლიუციის შემდეგ დიდი გასავალი აღარ ექნებოდა ამ ულტრა-მენშევიკურ სიეზდზედაც კი. იმ სხდომაზე მომხსენებელმა ველარ მოასწრო (უმალ—ველარ მოახერხა!) საკუთარი რეზოლიუციის შედგენა და სიეზდს სთხოვა, ხვალემდი მადროვეთო. სიეზდმაც, რასაკვირველია, შეიწყნარა ეს თხოვნა და შემდეგ სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ერთი რეზოლიუცია, მ-ს და ცეკისტის მიერ ერთად შედგენილი (დიპლომატიამ უკვე გასჭრა!), რომელიც სიეზდმა უცვლელად მიიღო. ყველა შესწორებები ლატიშის და ბალშევიკის მიერ შეტანილნი, ერთსულოვნათ (!) უარ-ყოფილ იქნა.

ამ სიეზდის მიერ მიღებულ რეზოლიუციის შესახებ უნდა ითქვას, რომ რა გინდ ბევრი ნაკლულევანება ქონდეს მას ბალშევიკების თვალთახედვის ისრით რომ შევხედოთ, იგი, შედარებით „თფილისურ ოპორტიუნიზმთან“, მაინც დიდი ნაბიჯია, კავკასიელ მენშევიკების მიერ წინ გადადგმული. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: ამიერ-კავკასიის ს. დ. სიეზდი შეგნებულათ გვერდს უვლის ლონდონის რეზოლიუციას (შტუტგარდზე რაღა გვეთქმის!), რომელიც მისთვის სავალდებულო უნდა იყოს. ამას და სხვა მრავალ მსგავსს მოვლენებს ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველამ, ვისაც აინტერესებს პარტიული დისციპლინის, ე. ი. პარტიული მთლიანობის საქმე.

ახსნა-განმარტება ლონდონის სიეზდზე მიღებულ რეზოლიუციის პარტიზანულ მოქმედებაზე.

მას შემდეგ, როცა სიეზდმა თავის პირველ რეზოლიუციაში რუსეთის რევოლიუცია რამდენიმე ათი წლით დაასამარა და რევოლიუციონურ გამოსვლებისათვის მზადება არა სოციალდემოკრატიულ საქმეთ გამოაცხადა, რაღა გასაკვირალია, რომ ამავე სიეზდს პარტიზანულ მოქმედების შესახებ რეზოლიუციაში სასტიკათ დაეგმო ყველაფერი ის, რასაც რაიმე კავშირი აქვს რევოლიუციონურ ბრძოლის მეტოდთან, რევოლიუციონურ გამოსვლებთან, შეიარაღებულ აჯანყებისათვის მზადებასთან და სხ. სიეზდმა ერთი კალმის მოსმით გააქარწყლა მებრძოლი დრუჟინები (თუ კიდევ დარჩენილიყო), შეუწყნარებლათ გამოაცხადა პარტიული მილიციის მოწყობა, ასე წარმოიდგინეთ, პარტიის წევრების მიერ სამხედრო ხელოვნების შესწავლაც-კი და ამისათვის ინსტრუქტორების ყოლა. სიეზდმა აბსოლიუტურათ უარ-ყო ყოველგვარი ტეროორი, თუმცა ს.-დ. ორგანიზაცია თავის დასაცავათ უკიდურეს შემთხვევებში ყოველთვის მიმართავდა ამ საშუალებას და დღესაც მიმართავს, მიუხედავათ სიეზდის დადგენილებისა; მარა ამავე დროს ყველა სოციალდემოკრატმა იცის, რომ ინდივიდუალური ტეროორი სოციალდემოკრატიისათვის არ წარმოადგენს პოლიტიკური ბრძოლის მეთოდს, როგორც ფიქრობენ ს.-რ.-ები. ეს რეზოლიუცია ტეროორის შესახებ არა თუ უსარგებლოა, არამედ მავნებელიც არის იმ მხრით, რომ უფრო ხელს შეუწყობს უორგანიზაციო, ანარხისტულ ტეროორის განვითარებას სოციალდემოკრატებში. სიეზდზე კამათი გამოიწვია, უმთავრესათ, პარტიულ მილიციის საკითხმა. მენშევიკები და ლატიში ამტკიცებდენ, რომ ლონდონის სიეზდი კრძალავს პარტიული მილიციის ყოლას. ისინი ამბობდენ, რომ თუმცა პირადათ თვითეულ სოციალდემოკრატს დიდი არაფერი დაუშავდება(!) სამხედრო ტეხნიკის ცოდნით, მარა პარტია აქ რა შუაშია. ბალშევიკი ამტკიცებდა წინააღმდეგს და მოჰ-

ყოვდა, სხვათა შორის ის მოსაზრებაც, რომ რადგანაც შეიარაღებული ბრძოლა რეაქციასთან აუცილებელია და ამ ბრძოლაში პროლეტარიატმა ყველაზე უფრო აქტიური როლი უნდა იკისროს, ს. დ.-სათვის, როგორც პროლეტარიატის მოწინავე რაზმისათვის მით უფრო აუცილებელია სამხედრო ხელოვნების ცოდნა. და თუ ეს აგრეა, ამბობდა იგი, საჭიროა პარტიამ თვითონ იკისროს ამ საქმის მაღალ სიმაღლეზე დაყენება, ეს კი შეუძლებელია უორგანიზაციოთ. თუ რამდენათ უმნიშვნელოთ თვლიდა სიეზდი პარტიული მილიციის საკითხს, ეს, სხვათა შორის, ნათლათ გამოიხატა ლატიშის ერთ შენიშვნაში: როგორც მუსიკალური ხელოვნების გავრცელებას თავის წევრებში ვერ იკისრებს პარტიული ორგანიზაცია, ისე სამხედრო ცოდნის გავრცელებაც არ შეადგენს პარტიის მოვალეობასო! მოდი და ელაპარაკე ასეთ ადამიანებს! Что ему гекуба. სიეზდმა პირბადე აიფარა და სთქვა: კერძოთ არავას ეკრძალება სამხედრო ტეხნიკის ცოდნაო, და ამავე დროს თუ რამდენიმე პარტიის წევრმა შეადგინეს თუ გინდ პატარა ჯგუფიც და ერთად შეუდგენ სამხედრო ხელოვნების შესწავლას და ამისთვის, შეიძლება, ინსტრუქტორიც კი მოიწვიეს, სიეზდის დადგენილების ძალით ასეთი ჯგუფი უსათუოდ უნდა დაიშალოს. სიეზდის დადგენილების დედა აზრი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის წევრებს ერთმეორეთ ყოველგვარი საშვალება სამხედრო ტეხნიკის შესწავლის ისე, თუ სიეზდის დადგენილება არ გადალახეს.

დავანებოთ შეიარაღებულ აჯანყებას თავი (რომლის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევს სიეზდს!) და ერთ წამს წარმოვიდგინოთ ხშირათ მოსალოდნელი დღეანდელ რუსეთში პაგრომი რომელიმე სახით: რა როლი უნდა იდვას თავს იმ პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელსაც არ მოეპოვება არც ერთი იარაღი და არც უნარი აქვს იარაღის ხმარების!. ესლა წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს შავრაზმელები თავს დაესხენ თვითონ პარტიას, მაგალითად, ნაძალადევს. რას იზამს ამ დროს ასეთი უმწეო ორგანიზაციი!

შავრაზმელებს თავი დავანებოთ და ერთ წამს წარმოვიდგინოთ, რომ შანტაჟისტებმა მიიტანეს იერიში პარტიაზე, (ესეც შესაძლებელია), რით შეუძლია ასეთ ორგანიზაციას გამკლავება? ლეგალიზაციით გატაცებულ მენშევიკური სიეზდი გვერდს უხვევს ყველა ამ საჭირ ბოროტო კითხვებს, გულუბრყვილოთ დარწმუნებული იმაში, რომ მის რეზოლიუციებს დიდი გასავალი ექნება პარტიის ცხოვრებაში. ჩვენ-კი, პირიქით, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამიერ კავკასიის მეხუთე სიეზდის რეზოლიუციები, როგორც მომენტი სრულიათ შეუფერებელი და უნიადაგო დარჩება პარტიის ცხოვრების გარეშე.

დასასრულ სიეზდმა აირჩია საოლქო კომიტეტის ცხრა წევრი და იმდენივე კანდიდატები, ყველა მენშევიკი, რასაკვირველია.

ბეკი.

პრესის მიმოხილვა.

ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვეთქმის ყურადღებას არ გვაქცევენო. ვინ გინდა რომ ჩვენზე არ ლაპარაკობდეს: კომიტეტი პირველი რაიონის, ორი რაიონის კონფერენცია, თბილისის კოლლეკტივი, საოლქო კომიტეტი და სხვა. ალაპარაკდენ ჩვენზე ლეგალური ს. დ-ბიც. ამხანაგებმა უწყიან, რომ თფლისში პარტიიდგან გასული სოც.-დემოკრატების ჯგუფი სცემს ორგანოს. ჩვენი მუშაობა სწორედ მათ არ აძლევს მოსვენებას, უფრთხობს მათ ძილს, და აი ისინიც ისვრიან ჩვენკენ თავის ბებრულ ნერწყვს.

აი რას სწერს გაზ. „შურდულის“ № 2: „მუშათა კლასს სულიერი წაფორხილებით სარგებლობენ ზოგი ვითომდა მისი მეგობრები და მასში კიდევ მეტი შუღლი და განხეთქილება შეაქვთ. უკაცობით გათამამებულნი ახლა დროს შოულობენ და ათასნაირ შენ-ჩემობას ფრაქციულ შენ-ჩემობასაც უმატებენ“. ნება გკიბოძეთ შეგეკითხოთ ძვირფასო ლეგალურო ს. დ., ვინ არიან ეს ვითომ და ამხანაგები, ჩვენ, რომლებიც ყოველ გასაჭირ დროს პროლეტარებთან ხელი-

ხელ ჩაკიდებული დავალთ, თუ თქვენ, რომლებმაც მიატოვეთ პარტია, როცა ის საშიში გახდა, და როცა მის გარედ თბილად მოკალათება საიმედოა? ეს „უკაცობი“ რისთვის-ღა დაგიდგათ? იმიტომ ხომ არა, რომ საშიში და მოსაწყენი გახდა მუშებთან სიარული? ნუ თუ თქვენ არ უწყით, რომ თქვენ რიცხვით გაცილებით მეტი ხართ ჩვენზე, მხოლოდ ჩვენ ვმუშაობთ პარტიაში და თქვენ კი გარბიხართ იქიდან. ნება გვიბოძეთ ერთიც კიდევ შეგეკითხოთ: რითი შეგვაქვს ჩვენ შუღლი და განხეთქილება პარტიაში? შეიძლება იმით, რომ ჩვენ მუშებს ვაცნობთ ს. დ. პროგრამასა და ტაქტიკას; ან იმით, რომ მოუწოდებთ შექმნან მტკიცე და მომქმედი ორგანიზაცია? დიახ, თქვენ, შორიდან უზრუნველათ მამზერალთ ყველაფერი უკეთესმა გეჩვენებათ.

***

იგივე ლეგალური ს.-დ. გამოსთქვამენ თავის აზრს ს. დ. მუშაობას დუმაში. ისინი აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ცენტრალურ პეტერბურგის მთავრობის ყურადღება კავკასიის მხარეზეა მიქცეული, და აი ისინი ფიქრობენ რომ: „არ იქნება ზედ-მეტი, თუ დუმაში შედგა ეგრედ წოდებული „კავკასიის ჯგუფი“. შესაძლოა ასეთი ჯგუფი შესდგეს ოპოზიციონურ დეპუტატებისაგან და საერთო ძალით შეეცადონ იმის განხორციელებას, რაც მათთვინ საერთო იქნება, რასაც ასე ვთქვათ „ფრჩხილების გარეშე გამოტანა შეიძლებოდეს“ გარდა ამისა ასეთ ჯგუფს ექნებოდა ინფორმაციული მნიშვნელობა; საერთო ძალით მხარეს შესწავლა, რასაკვირველია საგრძნობლად გაუადვილებს საქმეს თვით კავკასიის დეპუტატებს და საერთოთ მთელ დუმასაც“. (შურდული № 3) ეს ეს საუცხოვოა, ჩვენო მეგობრებო! კავკასიის ჯგუფი შემდგარა სხვა და სხვა პარტიის დეპუტატებისაგან! სოც.-დემოკრატ. ხომ კარგავს იქ თავის ფიზიონომიას (სახეს), ის ხომ ილესება ამ საერთო ბურჟუაზიულ ბლოკში? თქვენ მათთვის საერთო პროგრამის მომზადება ხართ. ჩვენი პარტიის პროგრამას რაღას უშვრებით, ივიწყებთ, რა თქმა უნდა, მის არსებობას. ჩვენო კარგნო! ნუ ეხვევით ისეთ „მანტიაში“,

რომელიც თქვენ სულ არ გიხდებათ. დაარქვით თქვენ თავს ნამდვილი მარტივი, სწორი, უბრალო სახელი: დემოკრატები! ნამდვილი სოციალდემოკრატები დაკმაყოფილდებიან ინფორმაციონული ბიუროთიც (ცნობათა შესავსებად), მაგრამ თქვენ „კავკასიის ჯგუფი“ ხართ!.. ჰმ, საით გაუსვეს!

*
* *

თბილისელ ოპორტიუნისტ ს-დების გაზეთი „ეკალი“ № 12 ლაპარაკობს ბოლშევიკებზედაც! ღმერთო ჩემო! რა შეეძლოთ მათ პარტიულ მიმდინარეობათა შესახებ, გარდა საზიზღარი ცილის წამებისა? აი მოუსმინოთ მათ: „ვინ იცის რავდენს ოცნებობდენ „როსიელები“ იმ წამზე, როდესაც ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი სმელად აიღებს „ოტოზოვისტების“ საბუთებს, დაადგება „რევოლიუციონურ ტაკტიკას და ფრაქციას დაშლილად გამოაცხადებს. ერთი სიტყვით აშკარაა, რომ როსია დიდი თანამგრძნობია „ოტზოვისტების“...

„იმ დროს, როცა ეს მცირე გუნდი მუშათა ავანგარდისა პირისპირ არის შებმული მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ამდროს მას თავის ამხანაგები, მოღალატურათ უკანიდან თავს ესხმიან. ვინ არ იცის, თუ როგორი იერიში მიაქვს „ბალშევიკებს“ ფრაქციაზე. მათი ორგანიზაციები და აგიტატორები მთელ კომპანიას აწარმოებენ, რომ პარტიაზე გავლენა მოახდინონ და რამენაირად ს. დ. ფრაქციას დუმა დაატოვებინონ და ამ მიზნისთვის არავითარ საშვალებას არ ერიდებიან“. საიდან შეთხზეთ ეს ძვირფასო ამხანაგებო? ეს ან შეგნებული სიცრუეა, ან და უმეცრებაა? მოსკოვში მართლაც გამოჩნდა პატარა ჯგუფი „ოტზოვისტებისა“, მაგრამ მოსკოვის კონფერენცია ამბობს, „რომ ეხლახან ს. დ. ფრაქციის გამოწვევა დუმიდან, მათი დაშლა პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლაზე ცუდ გავლენას იქონიებსო“. თქვენ, მაშ, საიდგანღა გამოატყვრინეთ, რომ თითქოს ბოლშევიკების ორგანიზაციები და აგიტატორები ცდილობდენ ფრაქციის უკან გაწვევას? რისთვის დაგჭირდათ ეგ სიცრუე?

რა თქმა უნდა ჩვენ არ დავაფარებთ ხელს ფრაქციის

კავშირებული ერთმანეთთან პრინციპიალური და ტაქტიკური კითხვები, არ გესმით რომ ისინი არ გაიყოფიან.

ამხ. მუშებო! თუ თქვენ დაინტერესებული ხართ საქმიანსა და სერიოზულ ორგანიზაციის მოწყობაში, კარგათ უნდა გახსოვდეთ, რომ შეგნება და ცოდნა ს. დ. პროგრამისა და ტაქტიკისა საუკეთესო იარაღია ჩვენ ხელში, მენშევიკები კი, რომ დაიცვან თავისი ბატონობა ორგანიზაციაში სცდილობენ ამაში ხელი შეგიშალონ; და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა შეგნებული წევრი პარტიისა, ყველა ამგვარ დანაშაულის ჩამდენთ, რომელ მხარესაც უნდა ეკუთვნოდენ ისინი ერთხმათ და გულის წყრომით შესძახებენ: ხელი შორს!

რევოლიუცია ახლობელ აღმოსავლეთში.

რუსეთის რევოლიუციამ ერთსა და იმავე დროს გავლენა იქონია, როგორც დასავლეთზე ისე აღმოსავლეთზე. განსაკუთრებით იმ გარემოებამ, რომ რუსეთში რევოლიუციის მეთაური იყო პროლეტარიატი, კვლავ გამოაცოცხლა ევროპის პროლეტარიატი, რომელმაც მეტის ენერგიითა და ძლიერის გატაცებით კვლავ შეუდგა ბრძოლას დემოკრატიზაციისათვის. ხოლო იმ გარემოებამ, რომ რუსეთში ბრძოლა მიმართული იყო ბატონ-ყმური ნაშთების წინააღმდეგ, დააჩქარა ბრძოლა სპარსეთში ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ. იქ, როგორც ვიცით, ხდება რევოლიუცია, მაგრამ მისი მეთაური და მამოძრავებელი ნორჩი ბურჟუაზია, რომელსაც ამ ბოლო ხანებში მხარში უდგება გლეხკაცობაც. რადგანაც სპარსეთში პროლეტარიატი არ არის, ბურჟუაზია იქ რევოლიუციონერია. ამიტომ ამ ბურჟუაზიას, უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, წვრილ ბურჟუაზიას არ ეშინია რევოლიუციის გაღრმავების და თანდათან რევოლიუციაში ითრევს ახალ-ახალ ძალებს. ამ ბურჟუაზიას ჯერ არ ყავს მოწინააღმდეგე, მას არ აფრთხობს სოციალიზმის საშიშარი აჩრდილი. ამიტომ ის თავდადებით იბრძვის წინააღმდეგ შახის მთავრო-

ბისა, რომელიც იცავს ფეოდალთა ინტერესებს. მაგრამ სპარსეთის რევოლიუციას მოწინააღმდეგეთ მარტო შახი და მათი მომხრეები კი არა ყავს. თუ როგორც რუსეთის რევოლიუციამ გამოიწვია სპარსეთის რევოლიუცია, ისე რუსეთის თვითმპყრობელობა (ჩვენში ხომ კონსტიტუცია არ არის) იწვევს სპარსეთის რეაქციას და შველის სპარსეთის თვითმპყრობელობას. მთავრობა ხედავს, რომ, თუ სპარსეთში დემოკრატიული წესები დამყარდა, მაშინ რუსეთის საქონელს აღარ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ინგლისისას, ამიტომ არის რომ შახის რეაქციას მხარს უჭერს და ამის საშვალებით ცდილობს სპარსეთის ბაზრის ხელში ჩაგდების. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრული გამარჯვება სპარსეთის რევოლიუციის მოუხერხებელი იქნება, თუ რუსეთშიაც სრულიათ არ გაიმარჯვა რევოლიუციამ. ცხადია აგრეთვე, რომ რევოლიუციის გამარჯვებას თან მოყვება კაპიტალიზმის განვითარება სპარსეთში, რაიც წარმოშობს მუშათა მოძრაობას და მასთან ერთათ—სპარსეთის სოციალ-დემოკრატიასაც. ახლო მომავალში ამ მიძინებულ ქვეყანაშიაც გაისმის ძლიერი ხმა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახს კვლავ შეემატება ახალ-ახალი რაზმები დაჩაგრულთა და დაყვლეფილთა. და ჩვენ, როგორც რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატები, უგზავნით სპარსეთის ხალხს ჩვენ სოციალ-დემოკრატიულ სალამს და სურვილს რევოლიუციის სრული გამარჯვებისა.

გაუმარჯოს რევოლიუციას!

—

როგორც ვიცით, რევოლიუციაა ოსმალეთშიც, რომლის მთავრობა თავის სიმხეცით არ ჩამოუვარდებოდა რუსეთისას. სისხლის მსმელმა სულთანმა თავისი თავი გამოაცხადა პროგრესის მომხრეთ. მაგრამ ოსმალეთის რევოლიუცია თავისი ხასიათით განირჩევა სპარსეთის რევოლიუციისაგან. თუ უკანასკნელი მოგვაგონებს საფრანგეთის დიდ რევოლიუციას, მაშინ პირველი შეიძლება მივამგზავსოთ გერმანიის 1848 წლის რევოლიუციას. ოსმალეთში უკვე არსებობს კაპიტა-

ლისტური ბურჟუაზია, რომელსაც არ შეუძლია კონკურენ-
ცია გაუწიოს ევროპას და ამიტომ სურს შინაური ბაზარი
უზრუნველ ყოს თავისი თავის, ის კი არა გარეშე ბაზარ-
ზედაც უჭირავს თვალი (მოვიგონოთ სპარსეთ-ოსმალეთის
კონფლიქტი მიმდინარე წლისა). ეს ბურჟუაზია ასე თუ ისე
კიდევაც იცნობს მუშათა მოძრაობას, ამიტომ უფრო ნაკლე-
ბათ რევოლიუციონურია. მას სურს თავის ხელში ჩაიგდოს
პოლიტიკური ძალა-უფლება, მაგრამ სრულობით არ სურს
შეეხოს სოციალურ ურთიერთობას. მაგრამ ეს უაზრო ოც-
ნებაა: დღევანდლამდი არც ერთს პოლიოიკურ რევოლიუ-
ციას ვერ აუვლია გვერდი სოციალურ რევოლიუციისათვის.
სხვანაირათ არც შეიძლება, ახალგაზდა ოსმალები ჯერეთვე
იჩენენ თავის რეაქციონერობას. გაფიცულ მუშების წინა-
ალმდეგ მიღებული სასტიკი ზომები: გადასახლება უცხოელ
აგიტატორების, სასჯელი ადგილობრივ პროლეტარებს, შე-
სანიშნავი დეკრეტები კონსტანტინეპოლის გაზეთების მი-
მართ, თუ რაზე სწერონ და რა ტონით, ყველა ესენი გვი-
ჩვენებენ, რომ ახალგაზდა ოსმალები, რომელთაც აღტაცე-
ბაში მოყავს ჩვენი კადეტები, არც ისე შორს წასულან
ინანდელი სულთანის „გმირებიდან“. ახალგაზდა ოსმალთა
შაზე მღერიან დაშნაკცაკანებიც, რომელნიც თავის თავს
სოციალისტებს უწოდებენ. არც ერთსა და არც მეორეს
არაფერი არ გაუკეთებია რევოლიუციის გასაღრმავებლათ.
ჯერ პარლამენტი არც კი აქვთ, მაგრამ პარლამენტარული
კრეტინიზმით კი შებოჭვილი არიან. მაგრამ ხალხის ინტერე-
სი მოითხოვს, ფეოდალური დამოკიდებულება დაჩქარებით
იქმნას დარღვეული. და, ვფიქრობთ, რომ ოსმალეთში ჩქარა
იფეთქებს გლეხთა აჯანყება. გაიწმინდება ოსმალეთიც ბა-
ტონყმურ წეს-წყობილებისაგან, გამაგრდება კაპიტალიზმი და
ამ უკანასკნელთან ერთათ გამაგრდება პროლეტარიატიც.
ოსმალეთის მუშათა კლასი აღმართავს სოციალიზმის წითელ
დროშას და ამით გაამრავლებენ მებრძოლთ სოციალისტურ
წეს-წყობილებისათვის.